საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030178018745320

№ 01-390/ო **03 / აგვისტო / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის, სოციალური დაცვის პოლიტიკის სამმართველოს, მთავარი სპეციალისტის, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად, კანდიდატებისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და საკონკურსო თემატიკის დამტკიცების თაობაზე

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის № 204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესი“-ს მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

მუხლი 1. დამტკიცდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის, სოციალური დაცვის პოლიტიკის სამმართველოს, მთავარი სპეციალისტის, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის, დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და საკონკურსო თემატიკა, თანდართული დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე

დანართი

პოლიტიკის დეპარტამენტის, სოციალური დაცვის პოლიტიკის სამმართველოს, მთავარი სპეციალისტის, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და საკონკურსო თემატიკა

1. პოლიტიკის დეპარტამენტის, სოციალური დაცვის პოლიტიკის სამმართველოს, მთავარი სპეციალისტის, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) **უმაღლესი განათლება** - სამართალი;

ბ) **სამუშაო გამოცდილება** - საჯარო სამსახურში სამართლის სფეროში მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება;

გ) **უცხო ენა** - ინგლისური ენის მაღალ დონეზე ცოდნა;

დ) **კომპიუტერული პროგრამები** - (MS office Word, Excel, Power Point და Outlook) კარგ დონეზე ცოდნა.

2. პოლიტიკის დეპარტამენტის, სოციალური დაცვის პოლიტიკის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკონკურსო თემატიკა:

ა) „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი;
ბ) საქართველოს შრომის კოდექსი;
გ) „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი;
დ) „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი;
ე) „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონი;
ვ) „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონი;
ზ) „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი;
თ) „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონი
ი) „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ საქართველოს კანონი;
კ) „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონი;
ლ) „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილება.